7091	სკოლამდელი აღზრდა	644.0	836.7	3.8	832.9	892.4	0.0
7092	ზოგადი განათლება	49.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	49.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7093	პროფესიული განათლება	84.3	94.7	0.0	94.7	80.7	0.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის განათლების სფეროში	273.5	309.6	0.0	309.6	266.9	0.0
710	სოციალური დაცვა	371.7	324.6	0.0	324.6	287.1	0.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	129.0	70.0	0.0	70.0	55.6	0.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	129.0	70.0	0.0	70.0	55.6	0.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	131.2	100.0	0.0	100.0	84.8	0.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	86.1	91.6	0.0	91.6	88.6	0.0
7109	არაკლასიფიცირებული საქმიანობის სოციალური დაცვის სფეროში	25.4	63.0	0.0	63.0	58.1	0.0
	სულ	9,166.3	9,478.9	2,208.0	7,270.9	5,781.4	0.0

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 113.0 ათასი ლარით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 -ით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 -ით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0-ით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 113.0 ათასი ლარით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდლების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 70.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 220.0 ათასი ლარი მიიმართოს:

- ა) „საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 104.9 ათასი ლარი;
- ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 108,1 ათასი ლარი;
- გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 7,0 ათასი ლარი;

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა

განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საგანგებო სიტუაციების (ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი, ავტოსატრანსპორტო შემთხვევები და სხვა ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის სტიქიური უბედურებები) სალიკვიდაციოდ პრევენციის მიზნით აუცილებელია სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. ხანძრის ჩაქრობისა და სამაშველო ღონისძიებების მაღალპროფესიული უზრუნველყოფისათვის პირადი შემადგელობის ტექნიკური და პროფესიული მომზადების სრულყოფა. თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ა) საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის მიზანია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ქმედითუნარიანობის ამაღლება, სამაშველო-საავარიო ტექნიკით უზრუნველყოფა, ხანძრების დროს მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენის პროცენტული მაჩვენებლების ზრდა, ხანძრის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, პირადი შემადგენლობის კანონით გათვალისწინებული სოციალური და სამართლებრივი უფლების დაცვა.

ბ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამით ხორციელდება მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, წვევამდელთა ჯამრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ასფალტის საფარიანი გზების მოვლა-შენახვა, ტროტუარების რეაბილიტაცია, ქალაქის სკვერებისა და პარკების, ქუჩებისა და მოედნების დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათების მოვლა-შენახვა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

ა.ა) გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, ასფალტის საფარიანი გზების მოვლა-შენახვა.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

ბ.ა) მუნიციპალიტეტის დასუფთავება და განათება (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. ხობის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ნაგავსაყრელი პოლიგონის გამართული ფუნქციონირება, განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და ახალი ქსელების მოწყობა.

ბ.ბ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება წყლის სისტემების ექსპლოატაცია, სოფ. ყულევში სასმელი წყლის შეზიდვა.

ბ.გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

აღნიშნული პროგრამის მიხედვით განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, სახურავების რეაბილიტაცია, ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობა.

ბ.დ) საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

რეაბილიტაცია ჩაუტარდება და მოეწყობა სანიაღვრე არხები.

გ) ვეტერინარიის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება ღორის ჭირის პრევენცია, მოხდება ბუნებიდან სათანადო ნებართვით მტაცებელი ცხოველების ამოღება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“-ს მეშვეობით ხორციელდება ახალგაზრდობის პროფორიენტაციის პროგრამა. დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი არის სკოლამდელი განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“, რომელიც აერთიანებს 30 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1092-მდე ბავშვი. ხორციელდება ღონისძიებები საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებაზე, მათ რეაბილიტაციაზე და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაზე.

ბ) მოსწავლე-ახალგაზრდობის კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 03)

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან, ხორციელდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების და მასობრივი მუშაობის საინფორმაციო მეთოდური უზრუნველყოფა, სხვადასხვა სახის სასწავლო, შემეცნებითი, სახელოვნებო კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, ტურების, ფესტივალების მოწყობა და ნიჭიერ მოზარდთა გამოვლენა. ინტელექტუალური, სახელოვნებო, სასპორტო და სხვა მიმართულებებით ჩამოყალიბებული სექციებისა და ჯგუფების მუშაობის უზრუნველყოფა.

გ) პროფესიული სწავლება (პროგრამული კოდი 04 04)

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“-ს მეშვეობით ხორციელდება ახალგაზრდობის პროფორიენტაციის პროგრამა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტი ამ პროგრამის მეშვეობით ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს. ხელს უწყობს საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, წარმატებული სპორტსმენების წახალისებას, ნიჭიერ ბავშვებს და ახალგაზრდებს მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენაში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სპორტული

ე მ კ ა ბ ა ე ნ ი

6

შეჯიბრების დაფინანსება. იზრდება ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა და ახალგაზრდობის ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისტორიული ძეგლების მონიტორინგი, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტურნირების ჩატარება, სპორტში ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდა, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და განვითარების ხელშეწყობა.

ა.ბ) სობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)

ა(ა)იპ „სობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“-ს სუბსიდირება, უზრუნველყოფს სპორტის უმნიშვნელოვანესი სახეობის ფეხბურთის პოპულარიზაციას და გუნდის მომზადებას საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.

ა.გ) სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქსა და სოფლებში არსებული მარტივი ტიპის მოედნების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია.

ა.დ) ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ა(ა)იპ „სობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“, სადაც II ასაკობრივ ჯგუფებში გაერთიანებულია 216 ბავშვი, სკოლის გუნდები მონაწილეობას იღებენ სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის რეგიონების ტურნირებში.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „სობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“, რომელიც აერთიანებს 13 ბიბლიოთეკას, 3 მუზეუმს, 7 სასოფლო კლუბსა და 3 კულტურის სახლს. ცენტრი ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის განვითარებას, ატარებს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენას.

ბ.ბ) ძეგლთა დაცვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისტორიული ძეგლების მონიტორინგი, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის, წარმოებს გამოფენების ორგანიზება.

ბ.გ) კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ტარდება სობის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით ადგილობრივი ფოლკლორის, ხალხური ტრადიციების გამოვლენისა და პოპულარიზაციის მიზნით კონკურსები, გათვალისწინებულია მიწვევის მეგრული ფოლკლორისა და რეწვის საღამო.

ბ.დ) ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი სუბსიდირებას უწევს შ.პ.ს. „სობის მოამბე“-ს, რითაც ხელი ეწყობა მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას

მუნიციპალიტეტსა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, მხარეთმცოდნეობის კუთხით ლაშქრობების მოწყობა, ახალგაზრდული დღეების გამართვა, ექსკურსიების მოწყობა, ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა თემატურ საკითხებზე შეხვედრების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

დ) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სობის ხარების დედათა მონასტრის ფინანსური მხარდაჭერა.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელებდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას.

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

გადამღებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები (პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა დაავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება.)

იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა (იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დახუსება და ანგარიშგებადღეგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაციისათვის, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში; ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის ჰჯდ დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით; „ცივი ჯაჭვის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა (წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედვით და გადამტანების არსებობის დაგენა სეზონის განმავლობაში.

პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები (წყალსატევებში გამბუზის გავრცელება ყოველწლიურად და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა.)

პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა (მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა.

დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მეურნეობა (მალარიის დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მეურნეობა; სხვა პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება).

სანიტარული ღონისძიებები (საგანმანათლებლო, სააღმზრდელო საგანმანათლებლო-საარმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

ბ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიატულო მომსახურების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სტიქიით დაზარალებულთა დახმარებასა და სხვა სოციალურ ღონისძიებებს.

ბ.ა) ავადმყოფთა სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად შეჭირვებული ადამიანებისათვის ფაქტიური საოპერაციო ხარჯების 50 %-ის დაფარვა, არამუშევრის 2000 ლარისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

ბ.ბ) სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) (პროგრამული კოდი 06 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ომის ვეტერანთა და დევნილთა დაღუპვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა.

ბ.გ) ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (9 მაისის ერთჯერადი დახმარება) (პროგრამული კოდი 06 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დახმარება მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეებზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

ბ.დ) მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეწევა 4 და მეტი შვილზე 85 ოჯახს, 100 წელზე უხნესს 7 პიროვნებას, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

ბ.ე) უმწვეთა სასაძილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება (პროგრამული კოდი 06 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „სობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს სუბსიდიის მოცულობა შეადგენს 88.6 ათას ლარს. სასაძილო ემსახურება 120 ბენეფიციარს, ხოლო ბინაზე მომსახურება ეწევა 90-მდე მარტოხელას.

ბ.ვ) ბავშვის შექმნასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 03 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილია სულ 36.0 ათასი ლარი, ერთ ბავშვის შექმნისას გაიცემა ერთჯერადი დახმარება 100 ლარი.

ბ.ზ) უმწვეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება (პროგრამული კოდი 06 03 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში 0-57000 სარეზიდენტო ქულის მქონეთ ეწევა დახმარება, რაც მოიცავს 130-მდე ოჯახს, რომელთა სულადობა 600-მდეა, გამოყოფილია 2014 წელს 8.0 ათასი ლარი.

გ) უმწვეთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეწევა სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს ერთჯერადად 50-200 ლარის ფარგლებში, 2014 წელს გამოყოფილია 35.0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

დ) ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაიცემა ერთჯერადად, სტიქიური მოვლენებითა და ხანძრით დაზარალებული მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, გასაცემი თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 3000 ლარს და გაიცემა ერთჯერადად, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

7

თავი III

ზობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები მუხლი 17. ზობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგი რედაქციით:

Table with columns for budget items, 2012, and 2013 (actual and planned). Includes categories like 'ზობის მუნიციპალიტეტის მთავარი' and 'საგარეო ურთიერთობების განყოფილება'.

Table with columns for budget items, 2013 (actual and planned), and 2014 (actual and planned). Includes categories like 'ფინანსური აქტივების ზრდა' and 'ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები'.

Table with columns for budget items, 2013 (actual and planned), and 2014 (actual and planned). Includes categories like 'კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა' and 'საგარეო ურთიერთობების განყოფილება'.

ე მ კ ა ვ ა ნ ი

8

Table with 10 columns: Code, Description, and 8 numerical columns. Rows include categories like 'საქართველოს მთავრობის...' and 'საქართველოს...'.

Table with 10 columns: Code, Description, and 8 numerical columns. Rows include categories like 'საქართველოს მთავრობის...' and 'საქართველოს...'.

Table with 10 columns: Code, Description, and 8 numerical columns. Rows include categories like 'საქართველოს მთავრობის...' and 'საქართველოს...'.

ე მ კ ა კ ე ა ნ ი

Table with columns for category, score, and other metrics. Includes sub-sections like '06 03', '06 04', '06 05', '06 06', '06 07'.

მიშოკო იოსავა



შვილო, უკვე ოცდაშვიდი წლის გახდებოდი, მაგრამ გასული წლის გიორგობამაც და შენი დაბადების დღემაც უშენოდ ჩაიარა, მიშოკო...

ინც... ცხოვრება გრძელდება ტკივილით, დარდით, მოგონებებითა და მონატრებით. ლამაზი მოგონებები მაქვს, შვილო, შენს ბავშვობაზე...

მარინა კაკულია-იოსავა

ს უ ლ თ ა თ ა ნ ა

კოკა კაკულია



დრო მიდის... 21 ოქტომბრის ახსენებთ ექო კი სულ უფრო ძლიერდება და გაუსაძლისი ხდება.

არადა, წამს... გადარჩენაც შეეძლო ყველაფრის... კოკა, ჩემო პატარავ და უკვე ბრძენკაცო, საოცრად მიჭირს და მიაღვილებს შენზე საუბარი...

10 წლის ასაკში ბავშვობას და ოცდარვა წლის მამას ერთდროულად დაემშვიდობე. უკვე არაბავშვური, მამაკაცური გონებით ჭკვრტილი საკუთარ მომავალს, რომელიც აუცილებლად ნუკრის სახელს, მის ფუძეს უნდა დაკავშირებულია.

გაიხარე კი ლალი, გულალალი, გამრჯე, საქმის, მოყვასის ერთგული, არაჩვეულებრივი და განუმეორებელი მეგობარი, საუკეთესო თანამშრომელი, საიმედო დასაყრდენი მეზობლის, მეგობრის, ყველაის, ვისაც კი იცნობდი.

როცა მამა-პაპის გასახარი ბუდე მოიწვევ, კერა ააღორძინე, სიყვარულიც გეწვია, საოცარი, არაჩვეულებრივი, გამორჩეული, არაამქვეყნიური...


შენ, სტიქაროსანმა, კარგად იცი: ქართველი ერის სულიერი მამა თავისი სამწყურსადმი ლოცვა-კურთხევას ყოველთვის ასე ამთავრებს: იხარეთ ორთავ სოფელსა შინა!

არც დედა დაგრჩენია უყურადღებოდ. დღეს ქალბატონ მანანას ორი კოკა ჰყავს შენი ნათიას ძმების სახით! მის გვერდით ეკლესიაა, შენი სულიერი მოძღვარი!

რამისი კემულარია უკვე მესამე წელია უშენოდ ვცხოვრობთ. არადა, ფიქრებში რამდენჯერ შენი სახე დახატულა... ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალია...

მანანა ნაჭყვიაძე

ლილი და ხუტუ ბაღელიები




ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო მშობლებო! ამ ქვეყანაზე სიკვდილზე უმეზარავი და მონატრებაზე ძნელი არაფერი ყოფილა.

ვალდი, რომელიც გაჩენისთანავე მოგანიჭათ უფალმა. ხუტი შვილი ღირსეულად, პატიოსან ადამიანებად გაგვზარდეთ.

შვილები თქვენს ამავს არასოდეს დავივიწყებთ, ყოველთვის ვამაყობდით თქვენით და მომავალშიც ვიამაყებთ. ჩვენო დედა და მამა! ძალიან გვენატრებით.

შვილები, შვილიშვილები, რძლები, სიძეები.



უკვე მესამე წელია უშენოდ ვცხოვრობთ. არადა, ფიქრებში რამდენჯერ შენი სახე დახატულა... ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალია...

რამისი კემულარია

უკვე მესამე წელია უშენოდ ვცხოვრობთ. არადა, ფიქრებში რამდენჯერ შენი სახე დახატულა... ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალია...

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ი ზ ი მ ე ბ ე რ ი

ახალი სურვილებით გაჯარებული საღამო

...საახალწლო-საშობაო ფაცი-ფუცი ჩვენს პატარა ქალაქ სობსაც ჩვეულებრივ დაეტყო. აღმართა დიდი და ლამაზი ნაძვის ხე. ქალაქის ცენტრალური ნაწილი ფერადი ნათებით დამშვენდა. საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ზეიმები გაიმართა. ეს საუცხოო ტრადიცია-ძველს ვაცილებთ და ახლის მობრძანებას სულმოუთქმენლად ველოდებით დიდი იმედებით, სიანხლებით. გვეჯერა, ხვალისდელი დღის. დაე, უფალმა ხალხს ყველა საუკეთესო სურვილი და ნატურა აუხდინოს!



ამას წინათ სობის კულტურის სახლის დიდ სცენაზე საახალწლო-საშობაო კონცერტი გაიმართა. საზეიმო კონცერტს, რომელიც სობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ

ინტერესო და დახვეწილი იყო ქორეოგრაფიული ანსამბლის მიერ შესრულებული ცეკვები (ქორეოგრაფი კობა გერგაია, გივი ვაშაკიძე. გოდერძი გახარია, ზვიჩა ჭანტურია). კონცერტში მონაწილეობდა და აპ-

ლოდისმენტები დაიმსახურა გოგონათა ტრიომ „ტატალი“ (ხელმძღვანელი სუსანა არზიანი) და გოგონათა კვინტეტმა. ძალიან სასიამოვნო იყო მომღერალ თეა ბაჩილავასა და გიტარისტის ლაშა კვიციანიას გამოსვლები. საინტერესო და მიმზიდველები იყვნენ პატარა მელოდები-ძმები დეკა და ნოდარ გულუები. კონცერტში მონაწილეობდა მომღერალი ჟანა როგავა შვილთან ერთად...

სასიამოვნო იყო, რომ საქართველოს ქორეოგრაფიული საზოგადოების გადაწყვეტილებით, სობის კულტურის ცენტრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კოლხეთს“ სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა (ქორეოგრაფები კობა გერგაია და გივი ვაშაკიძე). ხოლო ანსამბლ „კოლხეთის“ მომღერლები სიმბოლური საშობაო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ლონისძიების მსვლელობისას გაუღერდა ხობელ სპორტსმენთა მიღწევებზე, რომ მათ წარმატებით იასპარეზეს საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო დონის შეჯიბრებებში. ასახელეს საქართველო და სობის მუნიციპალიტეტი. ამ საზეიმო დღეს მათ და მათ მწვერთნელებს სობის მუნიციპალიტეტმა ფულადი ჯილდოები გადასცა.

საახალწლო-საშობაო ზეიმზე მისი მრავალშვილიანი ოჯახით მოწვეული იყო ქალაქ სობის წმინდა სამების ტაძრის წინამძღოლი მამა კირიონი (დარასელია). მან ყველას მიულოცა ახალი წლის მობრძანება და ერს გამრავლება უსურვა.

კონცერტის დასასრულს მაცურებელს მიესალმნენ და შობა-ახალი წლის დადგომა მიულოცეს სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ქარდავამ და გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ. მათ ყველა ხობელსა და სრულიად საქართველოს ლამაზ დღეთა სიმრავლე უსურვეს.

ნანი კილასონია.

ტრადიციად დამკვიდრებული გეიმი

სათნობის სახლში ტრადიციად დამკვიდრდა საზეიმო ღონისძიებების ჩატარება, რაც საახალწლოდ ჩატარებულ კარნავალზეც აისახა. ამ დღეს სათნობის სახლში იყო საახალწლო განწყობა და მოლოცვები... თითოეული მონაწილე საგულდაგულოდ ემზადებოდა ამ შეხვედრისთვის. ისინი ცდილობდნენ დამსწრე საზოგადოებისათვის უფრო მეტად ეჩვენებინათ იუმორისტული ნომრები და ამით კიდევ ერთხელ გაეხალისებინათ თავიანთი ყოველდღიური ყოფა. ამისთვის სათნობის სახლის თანამშრომლებმაც „ალილოთ“ გახსნეს ზეიმი. მათთან ერთად საახალწლო ლექსებითა და სიმღერებით სცენას ამშვენებდნენ პატარა ბენეფიციარები. უხუცესმა ბენეფიციარმა ქალბატონმა ქეთევან დარცმელიამ, საკუთარ ლექსში ჩააქსოვა სიყვარული და პატივისცემა სახლის თანამშრომელთა მიმართ.



გვინდა მადლობა ვუთხრათ შ.პ.ს. ზუგდიდის „აგროჯორჯის“ სამსახურს, შ.პ.ს. შავი „ზღვის ტერმინალს“, რაიონის ხელმძღვანელობას, შ.პ.ს. ხეთის დაფინსა და ციტრუსების მეურნეობას, რომლებმაც მნიშვნელოვანი შემოწირულობები გაიღეს სათნობის სახლისთვის. გვეამაყვება, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთა ჰობია კეთილი საქმეების კეთება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სათნობის სახლს განსაკუთრებულ თანადგომას უწევს სობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა. კარნავალს ესწრებოდნენ-საკრებულოს ხელმძღვანელები. გამგებელი ბატონი გოჩა ქაჯაია, გამგებლის მოადგილე ბატონი ედიშერ ჯობავა, მათ თითოეულ ბენეფიციარს მიულოცეს ახალი წლის შემობრძანება, ხაზი გაუსვეს ადმინისტრაციისა და ბენეფიციართა მეგობრულ ურთიერთობებს, მათ ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვეს. კარნავალის ბოლოს თოვლიანი ბაბუამ საჩუქრები დაარიგა, რითაც თითოეული ბენეფიციარის გული და ოჯახი გაახარა. ხოლო სრულიად საქართველოს გაბრწყინება და გამთლიანება უსურვა. **სათნობის სახლის ადმინისტრაცია.**

მრავალჟამიერ, წელი ახალი!



„დაფიფქულმა“ პატარებმა მოუხმეს თოვლის ბაბუას, ის ზურჯინგადაკიდებული, საჩუქრებით დატვირთული მობრძანდა. პატარებმა იმღერეს, იცეკვეს, თავი მოაწონეს თოვლის ბაბუას, რომელმაც ისინი საახალწლო ნუგბარით დაასაჩუქრა. ზეიმებს ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები **მანარე ჩოკორაია** და **ედიშერ ჯობავა**, ასევე სობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორი **ელისო კვიციანია**, მოადგილე **ნონა შამა-**

შობა-ახალი წლის შემობრძანებას ტრადიციულად ხალისიანად, ამაღლებული განწყობით შეხვდნენ გურიფულის (მთავარი სპეციალისტი **სოფიკო ჭითანავა**), პირველი მაისის (მთავარი სპეციალისტი **ლელა ქანთარია**), ქარიატის (მთავარი სპეციალისტი **ნონა გვიგბერია**) და ნოჯიხევის №1 (მთავარი სპეციალისტი **მაია ცქირია**) საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. დარბაზის სიღრმეში ლამაზად მორთული ნაძვის



ხე თავისკენ იხმობდა პატარებს სასიამოვნოდ, საცეკვაოდ, ლექსების წასაკითხად. პატარებმა სცენაზე ზღაპრის გმირები გააცოცხლეს, ვის არ ნახავდით აქ-ზამთრისა და ახალი წლის უცვლელ პერსონაჟებს: მეკვლეს, ახალ წელს, ზღაპრების დედოფალს, ფიფქიას და ჯუჯებს, წითელქუდას, ბურატინოს, წუნასა და წრუწუნას, მგელსა და მელიას... შესაბამის ლამაზ კოსტიუმებში გამოწყობილი პატარები ოსტატურად ასრულებდნენ თავიანთ როლებს. „შობა გათენებულაო,“ „ქრისტეს მადლი ჩვენც გვწყალობდეს,“ „ალილო“ - ამ ნაცნობი გალობით ხმატკბილობდნენ პატარები. „დღეს ყველა ოცნება ნაძვის ხის ფერია“... ისმოდა სცენიდან და დასასრული არ უჩანდა მათ საახალწლო სურვილებს, ნატურას, მოლოცვას. შთამბეჭდავი იყო სცენაზე ზამთრის პეიზაჟი-უხვად ცვიოდა „თოვლის ფანტელები,“



თავა, სობის წმინდა სამების ტაძრის წინამძღოლი **მამა კირიონი**, რომლებმაც პატარებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და ლამაზი სურვილები უსურვეს. ბაღების მთავარმა სპეციალისტებმა მადლობა გადაუხადეს საკრებულოსა და გამგეობას, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებას იმ საახალწლო საჩუქრებისთვის, რომლებიც მათ პატარებს გადასცეს! მრავალჟამიერ წელი ახალი, ფეხბენდიერი, ღვთიკურთხეული იყოს შენი შემობრძანება! **ნანა კემულარია**



მამა კირიონის საბავშვო ბაღი

საახალწლო ზეიმები

ასე დასრულდა „ზამთრის ზღაპარი!..“

თავი მართლაც ზამთრის ზღაპარში მეგონა, სობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის ფოიე, საბავშვო ოთახები, კიბეები და საკონცერტო დარბაზი უღამაზეს, ენით გამოუთქმელ

ა“ და თოვლის ქვეყანა... ბუხრის პირას მჯდომი „სანტა ბებია“ პატარა „სანტებს“ უყვება სხვა კონტინენტებზე, ქვეყნებზე, უხსნის რომ, საღვალც შორს არის უმშვენიერე-

რებში გამოწყობილი პატარა გოგონები შემოუერთდნენ. ისინი ნამდვილ ფერიებს მოგაგონებდათ. მთელი დარბაზი ღამის ნათებას დამსგავსებოდა, მუსიკის ჰანგები დამატობდად იფრქვეოდა. პატარები საძველისო ცეკვებს ცეკვავდნენ და სანტებსა და მყურებლებს თავს აწონებდნენ. წარუშლელ შთაბეჭდილებას ქმნიდა მათი მომაჯადოებელი ცეკვები, ლექსები, სიმღერები, შაირები... აქ ვერავის გამოარჩევდი, ყველანი ღამაზები და დახვეწილები იყვნენ. თითოეულს ერთი მიზანი ჰქონდა, სტუმრებისათვის თავი მოეწონებინათ, მათზე სამაგალითო შთაბეჭდილება მოეხდინათ. პატარებმა ეს ნამდვილად შესძლეს. ამაში მათ ყველა ჯგუფის აღმზრდელები და მუსიკის მასწავლებლები ეხმარებოდნენ, ისინი ისევე მონაწილეობდნენ ამ ზეიმში, როგორც პატარები. ცეკვავდნენ, მღეროდნენ და ყველანი ერთად ამ ჯადოსნურ სამყაროს ერწყმოდნენ. მაყურებლები-მოწვეული სტუმრები, დედები, ძამები, ბებიები, ბაბუები ალტაცებას ვერ მალავდნენ. მოსწონდათ პატარებისა და უფროსების ასეთი ურთიერთობები და შესაძლებლობები, მათზე ზრუნვა და ყურადღება. მართლაც აქ ყველაფერი კეთდება ბავშვების განვითარებისათვის. ღონისძიების თავი და თავი მთავარი სპეციალისტი ნარგი-



ზა ტულუში გახლავთ, მისი ხელმძღვანელობით ბაღში ღამაზი ტრადიცია არასოდეს ირღვევა, პირიქით, უფრო და უფრო ღრმავდება, ძლიერდება და თაობებს გადაეცემა. ღონისძიების მთავარი ძალა ბაღის დამამთავრებელი ჯგუფის აღმზრდელები გახლდათ. ის პატარა გოგო-ბიჭები, რომლებიც 2014 წლის ზაფხულში ბაღის კედლებს დატოვებენ და სკოლისაკენ მიმავალ ბილიკებს გაუყვებიან. ზეიმზე სწორედ პატარები და მათი აღმზრდელები ნატო ხურცია, თეა ჭურულუია მანანა უბილავა განსაკუთრებით აქტიურობდნენ. ზეიმი გრძელდება... დარბაზში სავსე ხურჯინით დატვირთული თეთროზოსანი თოვლის ბაბუა შემოვიდა. ურიამულით აივსო იქაურობა. ცოტაც და... ახალმა წელმა შემოაბიჯა. მისმა მობრძანებამ დარბაზი უფ-

რო გამოაცოცხლა, ააჟრიაშულა. ახალმა წელმა ომახიანად დაიგუგუნა: „მოვდივარ, თქვენსკენ მომიხარია, მინდა მოგიძღვნათ საღამო ჩემი, მომაქვს ბარაქა, სითბო სიმშვიდე, ბედნიერების ახალი წელი! მოგესალმებით დიდს და პატარას, თან მშვიდობის ხმით ვმღერი, მომილოცნია თქვენთვის – 2014 წელი!“ ამ მშვენიერებას მრავალი შემფასებელი ჰყავდა... მომავალ შეხვედრამდე ჩემო პატარებო! აღმზრდელებო, მშობლებო, მოწვეულო სტუმრებო, თითოეულ თქვენთაგანს გილოცავთ ახალ 2014 წლის შემობრძანებას. ფეხბედნიერი იყავ, წელო, ახალო!!!

ნანი კილასონია.



ჯადოსნურ სამყაროს მოგაგონებდათ. ...ათასფერად ლაპლაპებდნენ აელვარებული ნაძვის ხეები. გარეთ ბარდნიდა, სახლების სახურავები, ხეები და მიდამო თეთრად გადაბუნტილიყო. ცა თათელი და კამკამაა, ოდა სახლში ბუხარი გიზგიზებს... ეს ბუტაფორული რეკვიზიტები ნამდვილს ჰგავდა და ყველანი აღტაცებაში მოჰყავდა... დარბაზში მუსიკა ახმიანდა. „ჯინგუბელ, ჯინგუბელის“ სიმღერით სცენა „სანტა კლაუსმა“, „სანტა ბებია“ და პატარა „სანტებმა“ დაიპყრეს. ეს ლაპლანდია „სანტა-კლაუსის-

სი ქვეყანა საქართველო, რომელსაც მალე მოინახულებენ... ისინი უკვე საქართველოს სტუმრობენ. კერძოდ, სამეგრელოს ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საბავშვო ბაგა-ბაღს და ეს სობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღია. აქ საახალწლო-საშობაო ზეიმის ტრადიცია წელსაც გრძელდება. მეგრული სტუმართმასპინძლობით შეეგებნენ შორეული ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს მასპინძლები-თოვლის ბაბუა და ბებია. აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ სანტები. წითლებში ჩაცმულ ლაპლანდილებს წითელუბაბითანი ბიჭები და თეთ-

ძვირფასო მკითხველო!



გაზოთი „სობის მოამბე“ თქვენთან ერთად მთავალჭიტი გამთვლილი და საკმაოდ სანდაზმულია. იგი 1932 წლიდან გამდის და სობის მუნიციპალიტეტის მემფიანია. ვინ იცის, რამდენჯერ იცვალა სახე და სახელწოდებაც, სან სამართლიანად, სანაც უსამართლოდ, რომ იცყვიან. „დაიჩაგრა“ კიდევ, მაგრამ დღემ თავისი გაიცანა, ახსთა განმზიგემ თქვენი და მუნიციპალიტეტის გონიერი სელმძღვანელების თანადგმით, სიცდესლე შუენარჩუნა, ახსებობის საშუალება მისცა... ნაწილმზიგ მაინც შუასრულა თავისი მისია, — თქვენამდე მოცანა მუნიციპალიტეტსა და ქვეყანაში მიმდინარე პრეტესები. თქვენ და თქვენმა გაზოთმა ერთად გამთიარეთ გზა სცდიალისცურთი წყმთიდან დამთუიღმთმამდე და დემტკრადამდე, ერთად განიცადეთ ის ცვიილი, რაც ჩვენმა ქვეყანამ ცურთცმთიების დეკარგვით, დლთუული მთმბრების სახით განიცადა. მფრს არ გაფაგბძოლუმთ, რადგან თქვენ, ჩვენ მკითხველო, ყველაზე უკეთ უწციო პრესის მნიშვნელობაც და მისი ავ-კარგიც. იცით, რა სასიცდესლე მნიშვნელობა აქვს მკითხველისა და გაზოთის თანამშრმლმზას.

„სობის მოამბე“ ჩვენი მუნიციპალიტეტის გაზოთია და მიდამ ვგრძნობთ ადგილმზრთი სელისუთოლუმის თანადგმის, მსარტაჭრას. მიუხედავად ამისა, გაზოთი თქვენი თანადგმის იმედადა. მიილია პლიცვიტრად საინცურტეს და დამამული წელიწადი. ქვეყნას ახალი პრჭიღინცი და ახალი სელისუთოლუმ მართაფს. წინ დიდი სიასლეყმი, დემტრადიოლი განვითარება, ქვეყნის აღმშენმლმზის წლეში გველოდებ. იმისათვის, რომ ისე მყარად ვიდგეთ ერთად, თვალი ვადეწნთ ქვეყნის, ჩვენი მუნიციპალიტეტის აღმშენმლმზას, გავიზიაროთ ერთმანეთის ჭიბ-ვარამი, ჩვენ ვვლავ გვჭიბრებთ თქვენი თანადგმისა. გამთიწრტოთ გაზოთი „სობის მოამბე“, მისი ღირებულეობაა: 1 წლით—17 ლარი; 6 თვით—8,50 ლარი, 3 თვით—4,20 ლარი. საჭიბრ განცესადების გამთქვეყნებისას, გაზოთის სელმთმწრტომი ისარგებლუმენ 20%-ნი თასდაკუმით. გვიიმედუმით, დავვიკავშმირდით, მთგვეწრტოთ, ითანამშრმლყოთ გაზოთთან, გაგვალამაზოთ და გაგვამლოყრტო!

„სობის მოამბე“ სომ თქვენი გაზოთია!

მოლოცვა ნია იოსავას!



ჩვენ სიამაყე, შინ ამ ქვეყნად მთვლინუმით ყველა ბალიან გაგვასარე და გაგვამდნიოტ... ნიაკ, ჭკვიან და ნიჭიბრ გოგოვ, 6 წლის გასდი... გილოცავთ! მდნიბრ მთმავალს, კარგ სწავლას გისურვუმთ. გვიყვარსარ!

მამიღემი.